

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

26. 06. 2017 წელი

ეგზ. N1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N34/36

2016 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

შემოკლებანი.....	3
ზოგადი ინფორმაცია	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	7
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	8
სახელმწიფო შესყიდვები	8
პროგრამული ბიუჯეტი	10
ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა	12
დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები.....	15
<i>ანგარიშგების ფორმები.....</i>	<i>17</i>

შემოკლებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო-სამინისტრო
2. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ - ცენტრი
3. სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი - ლაბორატორია

ზოგადი ინფორმაცია

სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება: აგროსასურსათო, სასელექციო, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის, მცენარეთა მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის, მეცხოველეობის სანაშენე საქმიანობისა და ვეტერინარიის დარგები. სამინისტროს ამოცანებია: ეროვნულ ტრადიციებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით რეფორმების განხორციელებისათვის ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოება-რეალიზაციაში საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა; სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა, საექსპორტო პოტენციალის სრულად გამოყენება და საგარეო ბაზარზე მყარი პოზიციების მოპოვება და სხვა.

სამინისტროს საბალანსო მონაცემების შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა ღირებულება შეადგენს 287,9 ათას ლარს. სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული პირებია: სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი და ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“. სამინისტრო არის საბიუჯეტო დაწესებულება და მისი დაფინანსების წყაროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების ბალანსებს, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებსა და ინფორმაციებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებსა და ინფორმაციებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ, ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ, ანგარიში არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების

შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ, ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე, ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხული დებიტორული დავალიანებების შესახებ, ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხული კრედიტორული დავალანებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, ასევე საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას. აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს, ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. საბალანსო ანგარიშები

გარემოება 1.1. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრისა“ და სსიპ -ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის 2015 და 2016 წლების საბალანსო ანგარიშების ნაშთები ურთიერთშეუსაბამოა. კერძოდ, 2015 წლის საბალანსო მონაცემებში, საანგარიშო პერიოდის ბოლოს რიცხული ნაშთები არ შეესაბამება 2016 წლის ბალანსში, წლის დასაწყისისათვის დაფიქსირებულ ნაშთებს, რაც თანხობრივად 44,9 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიმართებით შეუსაბამობა შეადგენს 42,1 ათას ლარს, ხოლო სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის მიმართებით - 2,8 ათას ლარს. ცალკეული საბალანსო ანგარიშების მიხედვით შეუსაბამობები შემდეგი სახისაა:

საბალანსო ანგარიშები	კოდები	2015 წლი	2016 წელი	სხვაობა	ორგანიზაცია
		საანგარიშო პერიოდის ბოლოს	საანგარიშო პერიოდის დასაწყისი		
მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230	5758	6751	993	ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“
	1230	109160	108910	250	სსიპ- ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	0	271	271	ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“
მოთხოვნები ფულად სახსრებზე	1355	13661	11150	2511	სსიპ- ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი
გაუნაწილებელი მოგება	5220	5758	6480	722	ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“
ამორტიზირებული მირითადი აქტივები	08	0	40123	40123	ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“

ცხრილი N1. საბალანსო ნაშთების შესახებ.

გავლენა: 2015-2016 წლების საბალანსო ანგარიშების ნაშთების შეუსაბამობა, შესაბამისი პერიოდის ბალანსებსა და რეალურ ფინანსურ მდგომარეობას შორის შეუსაბამობას წარმოშობს.

2. წმინდა ღირებულება

გარემოება 2.1. გაეროს განვითარების პროგრამასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა დათანხმდა პროექტის - „მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარაში“ დაფინანსებაზე. ხელშეკრულების შესაბამისად პროექტი ორწლიანია და მისი ბიუჯეტი 1300,0 ათასი ლარით განისაზღვრა. პროექტის განმახორციელებელი პარტნიორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, პასუხისმგებელი პარტნიორებია ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ და ა(ა)იპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი“, ხოლო მისი დაფინანსება სრულად ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, 2016 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილია 700,0 ათასი ლარი, საიდანაც წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ დაფინანსებულია 122,8 ათასი ლარით, ხოლო ა(ა)იპ „ბიზნეს ინკუბატორი“ - 28,1 ათასი ლარით.

შესაბამისად, პროექტის - „მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარაში“ ფარგლებში, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიერ მიღებული 122,8 ათასი ლარი, „ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“ ბალანსის დანართ ფორმა N4-ში ასახვის ნაცვლად, უნდა ასახულიყო „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ ბალანსის დანართ ფორმა N3-ში.

გავლენა: ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ 2016 წლის ბალანსის დანართ ფორმა N3-ში, „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ შემოსავლები შემცირებულია 122,8 ათასი ლარით და ამავდროულად გაზრდილია, ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული, 2016 წლის შემოსავლების მაჩვენებელი.

3. მოგების გადასახადი

გარემოება 3.1. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ 2016 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში, ერთობლივი შემოსავლის სახით ფიქსირდება 94,5 ათასი ლარი, რაც 10,4 ათასი ლარით ნაკლებია საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებზე.

გარემოება 3.2. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ 2016 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ანარიცხების სახით გამოქვითულია 99,5 ათასი ლარი, რომლის გაანგარიშებაც არ არის განხორციელებული საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით.

გავლენა: ცენტრის 2016 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში, მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი შემცირებულია 10,4 ათასი ლარით. ამასთან, არასწორად არის გაანგარიშებული გამოქვითვას დაქვემდებარებული, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული, ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია.

4. ქონების გადასახადი

გარემოება 4.1 ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ 2016 წელს ეწეოდა მემცენარეობის და მეცხოველეობის სხვადასხვა პროდუქტებისა და მომსახურების სასყიდლიან მიწოდებას, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, ითვლება ეკონომიკურ საქმიანობად. შესაბამისად,¹ ქონების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული, ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებული მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობები. წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად, ცენტრის ბალანსზე რიცხული 4005,2 ლარის ძირითადი აქტივებიდან, ქონების გადასახადით დაბეგრილია 1144,5 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი აქტივები და შესაბამისად 2860,7 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი აქტივები, ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის მიზნით, არ არის შეფასებული მათი ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების გათვალისწინებით. მაგალითად, ცენტრის ბალანსზე რიცხული 461,7 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების, გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა, სარწყავი სისტემა, ფარდული, სატრაფიკაციო ოთახი, ნაზავის მოსამზადებელი ფარდული, სადრენაჟე სისტემა, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების მიუხედავად, არ არის გათვალისწინებული ქონების გადასახადით დასაბეგრ ბაზაში, ხოლო ადმინისტრაციული შენობის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში, არ არის გამოყოფილი საერთო ღირებულებიდან და არ არის გათვალისწინებული ქონების გადასახადით დასაბეგრ ბაზაში.

გავლენა: არასრულად არის განსაზღვრული ცენტრის 2016 წლის ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონების ბაზა.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღით.

¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“, 203 -ე მუხლის „ბ“, და 206-ე მუხლის 1 პუნქტი „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

სახელმწიფო შესყიდვები

➤ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის პროგრამის - „მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის- „მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენება ფერმერულ მეურნეობაში“, ფარგლებში, სამინისტროს მიერ 25 344 ცალი ნამყენი კაკლის ნერგის შესყიდვის მიზნით, 2015 წლის 18 დეკემბერს, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი². შესყიდვაში მონაწილე ერთადერთი პრეტენდენტი შპს „მარდი“, ბანკის მიერ საბანკო გარანტიის გაცემაზე თანხმობის წარმოდგენლობის გამო, დისკვალიფიცირებული იქნა. აღსანიშნავია, რომ „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად³, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება ხელშეკრულების დადებამდე, ანუ შერჩევა/შეფასების ეტაპის შემდეგ. მიუხედავად ამისა, საბანკო გარანტიის გაცემაზე თანხმობის წარმოდგენლობა გახდა ერთ-ერთი პირობა, 2016 წლის 26 იანვარს, ნამყენი კაკლის ნერგის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ მეორე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვისაც. მეორე ტენდერში სატენდერო წინადადება წარმოადგინა 5 პრეტენდენტმა, რომელთაგან ორს, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობისა და დადგენილ ვადებში მოთხოვნილი დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის გამო, დისკვალიფიკაცია მიენიჭა, ხოლო რიგით მესამე პრეტენდენტის შპს „მათე +“-ის სატენდერო წინადადება, სამინისტროს 2016 წლის 11 მარტის წერილის შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისად ჩაითვა და მასვე მოეთხოვა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ სანერგე მეურნეობის დათვალიერების უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული წერილის შინაარსიდან გამომდინარე, ის შედგენილია სამინისტროს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, თუმცა კომისიის სხდომის ოქმი არ არის ატვირთული შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში⁴ და ის ვერც აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში იქნა წარმოდგენილი. სამინისტროს მიერ შპს „მათე+“-ის სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შპს „თომა 2011“-ისა და თომა ხალვაშის მიერ გასაჩივრებული იქნა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველ საბჭოში და ორივე შემთხვევაში სრულად დაკმაყოფილდა. აღნიშნულის საფუძველზე კომისიამ ხელახლა განიხილა შპს „მათე +“-ის სატენდერო წინადადება, თუმცა ამ შემთხვევაში ის სატენდერო მოთხოვნებთან

² SPA 150035042. 380.2 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულებით.

³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

⁴ შეუსრულებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები.

შეუსაბამოდ ჩათვალა და 2016 წლის 7 აპრილის საოქმო⁵ გადაწყვეტილების შესაბამისად მოხდა პრეტენდენტის დისკლავიფიკაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, სამინისტროს უფლება ჰქონდა, დადენილი წესების დაცვით, მიემართა ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მომდევნო პრეტენდენტისათვის⁶, თუმცა ნერგების დარგვის აგროვადების სრული დაცვისა და „თესლისა და სარგავი მასალის საქართველოში გავრცელების დამატებითი პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N145 დადგენილების სრულად ამოქმედების მოტივით, ტენდერი შეწყვეტილი იქნა.

2016 წლის 27 აპრილს გამოცხადდა ახალი ტენდერი 25 344 ცალი ნამყენი კაკლის ნერგის (ჯიში ჩანდლერი) შესყიდვის შესახებ. ახალი სატენდერო დოკუმენტაციით შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები არ შეცვლილა და ის კვლავ, შემსყიდველისაგან მიღებული შეტყობინების შესაბამისად, 2016 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდით განისაზღვრა, ხოლო „თესლისა და სარგავი მასალის საქართველოში გავრცელების დამატებითი პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N145 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით, სატენდერო დოკუმენტაციას, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ გაცემული ხარისხის სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულება დაემატა. აღსანიშნავია, რომ სანერგე მასალასთან დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა, ძალაში შედიოდა 2016 წლის 1 აგვისტოდან, თუმცა ის საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 აგვისტოს N428 დადგენილებით განისაზღვრა და შესაბამისად, სამინისტროსათვის პირველი ტენდერის გამოცხადების თარიღისათვისაც იყო ცნობილი და შესაბამისად ნერგის მიწოდების ვადების გათვალისწინებით⁷, პირველი ტენდერის ტექნიკურ მოთხოვნებშიც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

მესამედ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო 7 პრეტენდენტმა, რომელთაგან საუკეთესო ფასის წარმომდგენ 4 პრეტენდენტს, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობისა და დადგენილ ვადებში მოთხოვნილი დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის გამო დისკვალიფიკაცია მიენიჭა. სატენდერო კომისიის 2016 წლის 25 ივლისის სხდომის ოქმის შესაბამისად, გამარჯვებულად ისევ შპს „მათე +“ დასახელდა. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „მათე +“-ს გაეგზავნა წერილი, სადაც მის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ტექნიკური დოკუმენტაცია, ასევე დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია და სანერგე მეურნეობის დათვალიერების აქტით წარმოდგენილი ინფორმაცია, სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობაში ჩაითვა და მოწვეული იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა სატენდერო კომისიის მიერ გაგრძელდა წარმოდგენილ სერტიფიკატებთან დაკავშირებით საკითხის მოკვლევა, რამაც ერთმნიშვნელოვანი შედეგი

⁵ სამინისტროს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N6. 07.04.2016.

⁶ შპს „ვიგორა“ -290,0 ათასი ლარის სატენდერო წინადადებით, რაც 1,9 ათასი ლარით მეტია შპს „მათე +“-ის სატენდერო წინადადებაზე.

⁷ 2016 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდი.

სერტიფიკატის ნამდვილობასთან დაკავშირებით, ვერ გამოიღო და სატენდერო კომისიის 2016 წლის 8 აგვისტოს საოქმოდ⁸ გადაწყვეტილების შესაბამისად, ტენდერი კვლავ შეწყდა.

ნამყენი კაკლის ნერგის შესყიდვის მიზნით მეოთხე ტენდერი 2016 წლის 19 აგვისტოს გამოცხადდა, სადაც გამარჯვებულად დასახელდა შპს „ისტ-ვესტ ტრაიტინგი“, რომელთანაც 2017 წლის 3 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება 317,8 ათასი ლარის ღირებულებით, რაც პირველ ტენდერში გამარჯვებულად დასახელებულ პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასზე 29,7 ათასი ლარით მეტია. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ვერ შეასრულა და სამინისტროს მხრიდან 2016 წლის 5 დეკემბრიდან ხელშეკრულება ცალმხრივად იქნა შეწყვეტილი. შესაბამისად 2016 წელს ვერ მოხერხდა პროგრამით გათვალისწინებული 25 344 ცალი ნამყენი კაკლის ნერგის შესყიდვა, რამაც პროგრამის კორექტირება გამოიწვია. ამასთან, კორექტირების შედეგად ამოღებული იქნა კაკლის ნერგის შესყიდვა, თუმცა აღნიშნული ნერგის გაშენებასთან დაკავშირებით სასუქების შესყიდვა და ბენეფიციარებზე მიწოდება უცვლელი დარჩა. შედეგად, მოსახლეობაზე კაკლის ნერგის გაშენებისათვის გადაცემული სასუქები 2016 წელს დანიშნულებით ვერ იქნა გამოყენებული.

ამრიგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის ქვეპროგრამის - „მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენება ფერმერულ მეურნეობაში“ ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების არასათანადოდ და არათანმიმდევრულად განხორციელების შედეგად, 2016 წელს ვერ მოხერხდა პროგრამის სრულყოფილად განხორციელება და შესაბამისად ვერ იქნა უზრუნველყოფილი დაგეგმილი შედეგების მიღება.

➤ სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის მიერ, 9 შემთხვევაში, გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის პირობებით, წინადადების წარმოდგენა დღგ-ს გარეშე იქნა გათვალისწინებული. შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ღირებულება საერთო ჯამში 17,4 ათასი ლარით გაიზარდა. აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტები, ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის გამარჯვებული პრეტენდენტების დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციასთან დაკავშირებით⁹.

● პროგრამული ბიუჯეტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის 2016 წლის პროგრამების საბიუჯეტო ასიგნება 4482,4 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში პროგრამების საბიუჯეტო გეგმა შესრულებულია 98,9 პროცენტით, ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 49,4 ათასი ლარი. კერძოდ:

⁸ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N12. 08.08.2016წ.

⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-10-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

N	დასახელება	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასი ხარჯი	სხვაობა	შესრულების პროცენტი
1	აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	1750,2	1715,8	34,4	98%
2	მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	1295,5	1294,4	1,1	99,9%
3	მემცენარეობის დაცვის განვითარების ხელშეწყობა	979,5	965,8	13,7	98,6%
4	მცხოვრებლების დარგის განვითარების ხელშეწყობა	457,2	457,0	0,2	99,9%
ჯამი		4482,4	4433,0	49,4	98,9

ცხრილი 2. სამინისტროს 2016 წლის პროგრამების შესრულების შესახებ.

სამინისტროს 2016 წლის ასიგნებები წარმოდგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმით. ძირითადად დაცულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით განსაზღვრული პირობები, თუმცა ჩატარებული აუდიტით დადგენილია რიგი ნაკლოვანებების ფაქტები. კერძოდ:

➤ რიგ შემთხვევებში არასწორად არის მითითებული ქვეპროგრამის შედეგების გაზომვისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვების მეთოდები. მაგალითად, მრავალფუნქციური მოტობლოკებითა და ურიკებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობისა და მობილური შემასხურებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის ქვეპროგრამების შედეგების ინდიკატორად მოცემულია შესაბამისად, 438 ჰექტარი დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 350 ჰექტარზე აგროვადების დაცვით მავნებელ-დაავადების წინააღმდეგ გატარებული ბრძოლის ეფექტური ღონისძიებები, თუმცა შედეგების შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვების მეთოდად, ორივე შემთხვევაში, ფერმერებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები და გადახდის ქვითრებია მითითებული, რაც ვერ უზრუნველყოფს ქვეპროგრამების შედეგების შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღებას.

➤ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სამინისტროს 2016 წლის პროგრამები მაღალი რესურსტევადობით ხასიათდება. კერძოდ, ფერმერთა და აგრომეწარმეთა მიერ წარმოდგენილი 6134 მოთხოვნიდან, 2016 წელს დაკმაყოფილდა 3161, ანუ 52 პროცენტი. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, ადგილი აქვს ერთი და იმავე პირის მიერ ორ და სამ პროგრამაში ბენეფიციარად მონაწილეობის ფაქტებს¹⁰.

➤ სამინისტროს 2016 წლის პროგრამების ფარგლებში შესყიდული საქონლი, თანაგადახდის პრინციპის გათვალისწინებით, შესაბამისი ოდენობის თანხის გადახდის დამადატურებელი

¹⁰ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყოროლისთავში მცხოვრებ ამირან ქათამაძე ბენეფიციარად მონაწილეობდა სამინისტროს 3 ქვეპროგრამაში და შესაბამისად მას გადაეცა წვეთოვანი სარწყავი სისტემა, მრავალფუნქციური მოტობლოკი და რძის მექანიკური სეფერატორი. ოგივე პრინციპით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტაქეში მცხოვრებ ირაკლი ცეცხლაძეს გადაეცა წვეთოვანი სარწყავი სისტემა, მობილური შემასხურებელი აპარატი და რძის სეფერატორი.

დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ უნდა გაცემულიყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმებით დადგენილია, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს საქონლის მიღება-ჩაბარების აქტების არასრულად შედგენისა და თანაგადახდის თანხის დაგვიანებით გადახდის ფაქტებს¹¹.

➤ 2016 წლის ქვეპროგრამების შედეგების ანგარიშების ანალიზით დადგენილია, რომ რიგ შემთხვევებში, ქვეპროგრამების ფაქტობრივი შედეგები, დაუდასტურებელი მონაცემების საფუძველზე კეთდება. ამასთან ადგილი აქვს შედეგების შეუფასებლობის ფაქტებსაც. მაგალითად: წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობის პროგრამის დაგეგმილი და მიღებული ფაქტობრივი შედეგები იდენტურია, თუმცა სამინისტროს მიერ ბენეფიციარებთან ჩატარებული გამოკითხვის აქტებში გადაცემული ნერგების გახარების მაჩვენებელი 100 პროცენტისა არ არის. ასევე თავლის საწური აპარატისა და რძის მექანიკური სეფერატორის გადაცემის ქვეპროგრამების შედეგები 2016 წლისათვის არ არის შეფასებული.

➤ სამინისტროს მიერ 2016 წელს ჩატარებულია, 2013-2014 წლების პროგრამების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი. წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად გამოკითხულია ბენეფიციართა 35 პროცენტი, რომელთა მონაცემების განზოგადება მოხდა მთლიან პროგრამებზე, თუმცა აღნიშნულ ანგარიშებში არ არის მითითებული ინფორმაცია შერჩევის მეთოდის შესახებ. ამასთან 2015 წლის პროგრამების მიმდინარეობის მონიტორინგი არ არის განხორციელებული, რის გამოც ვერ მოხდა კონკრეტული მიმართულებით მიღებული შედეგების შეფასება და დამტკიცებულ ინდიკატორებთან მათი შედარება.

• ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახაზინო კოდით გათვალისწინებული, 2016 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი 8247,2 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 8008,2 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 97,1 პროცენტია. სამინისტროს სახაზინო კოდით გათვალისწინებული ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სახისაა:

¹¹ ვაჟა მჟავანაძეზე, გურამ ბაუჟაძეზე და ამირან ტაკიძეზე კომბინირებული სასუქის გადაცემასთან დაკავშირებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტები დაუთარილებელია და შესაბამისად ვერ დგინდება თანაგადახდის თანხის დროულად გადახდის მდგომარეობა, ხოლო მანუჩარ ფუტყარაძეზე და ნინო ათაბაგზე რძის მექანიკური სეფერატორები და ოთარ ჯაყელზე თავლის საწური აპარატი გადაცემულია თანაგადახდის თანხის გადახდამდე, შესაბამისად, 29 დღის, 24 დღისა და 2 დღის წინსწრებით¹¹.

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (სამინისტროს აპარატი)	4482,3	4432,9	49,4	98,9%
აგროსერვისის განვითარება რეგიონში (ააიპ „აგროსერვის ცენტრი“)	2501,2	2325,0	176,2	93,0%
ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება (სსიპ -ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი)	1263,7	1250,3	13,4	98,9%
ჯამი	8247,2	8008,2	239,0	97,1%

ცხრილი N3. სამინისტროს 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ორგანიზაციულ ჯგუფში.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის ბიუჯეტის შესრულება მოცემულია ცხრილის სახით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დასახელება	2016 წლის ბიუჯეტი	2016 წლის ხარჯები		გადახრა ფაქტ.ხარჯსა და გადახდას შორის		გადახრა გეგმა- საკასო	შესრ. %
	დაზუსტებული	საკასო	ფაქტობრ.	მეტობა	ნაკლებ.		
1. ხარჯები	4395,4	4349,3	4430,3	80,9		46,1	99,0%
მათ შორის							
1.1 შრომის ანაზღაურება	1416,5	1416,2	1416,2			0	100%
1.2 საქონელი და მომსახურება	233,0	203,4	212,5	9,1		29,6	87,3%
1.3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება			71,3	71,3			
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	6,4	6,4	6,4			0	100%
1.8 სხვა ხარჯები	2739,5	2723,4	2723,9	0,5		16,1	99,4%
არაფინანსური აქტივები							
2. სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	81,0	77,7				3,3	95,9%
ვალდებულებები							
4. ვალდებულებების შემცირება	5,9	5,9				0	100%
სულ	4482,3	4432,9				49,4	98,9%

ცხრილი 4. სამინისტროს 2016 წლის ასიგნების შესრულება მუხლობრივ ჯგუფში.

➤ 2016 წლის შრომის ანაზღაურების მუხლით დაზუსტებული ასიგნებების ოდენობამ 1416,5 ათასი ლარი შეადგინა. 2016 წლის განმავლობაში, ბიუჯეტიდან შტატით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართული იქნა 1416,2 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული ასიგნების 99,9 პროცენტია და 4,4 ათასი ლარით მეტია 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

შრომის ანაზღაურება	2015 წ.	2016 წ.	ზრდის ტემპი 2015-2016 წწ.
შრომის ანაზღაურება	1411827	1416174	4347
ხელფასები ფულადი ფორმით - თანამდებობრივი სარგო	806581	823527	16946
ხელფასები ფულადი ფორმით - პრემია	183530	167428	-16102
ხელფასები ფულადი ფორმით - დანამატი	421716	425219	3503

ცხრილი N8. „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯები შემადგენელი კომპონენტების დონეზე (ლარი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2015 წელთან შედარებით, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გახარჯული სახსრების მოცულობა თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის კომპონენტის მიხედვით გაზრდილია, ამავე დროს შემცირებულია პრემიის კომპონენტის საკასო ხარჯი. სამინისტროში დანამატის გაცემა ხდება შესაბამისი დასაბუთების გარეშე, ან მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მუხლის მითითებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის საბიუჯეტო ასიგნება შრომის ანაზღაურების მუხლში 2413,7 ათასი ლარით განისაზღვრა. აღნიშნული ასიგნება გაანგარიშებულია 68 თანამშრომელზე, რომელთა თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით, ხელფასის ყოველთვიური ფონდი 71,1 ათას ლარს შეადგენს. 2016 წლის განმავლობაში სამინისტროში ვაკანტური თანამდებობების არსებობის შედეგად, შრომის ანაზღაურების მუხლში წარმოქმნილი ეკონომია 42,6 ათას ლარს შეადგენდა, რომელიც სამინისტროს თანამშრომელთა მატერიალური წახალისების კომისიის მიერ, მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, განაწილებული იქნა პრემიის სახით, რაც არ შეიძლება მისაღებ პრაქტიკად ჩაითვალოს.

➤ შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურების 2016 წლის საბიუჯეტო ასიგნება 20,5 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში ამ მუხლით გაწეულია 18,5 ათასი ლარის ხარჯი, რაც საბიუჯეტო გეგმის 90,2 პროცენტს შეადგენს. წარმოდგენილი აუდიტორული მტკიცებულების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გაფორმებულია 3 შრომითი ხელშეკრულება, შტატგარეშე მუშაკთა დასაქმების შესახებ;

➤ მივლინების მუხლის 2016 წლის საკასო ხარჯი 29,1 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 100 პროცენტია. სამივლინებო თანხიდან დღიური ხარჯებისთვის ანაზღაურებულია 11,0 ათასი ლარი, მგზავრობისთვის - 5,1 ათასი ლარი და საცხოვრებელი ფართის დაქირავებისთვის - 13,0 ათასი ლარი;

➤ ოფისის ხარჯების მუხლის 2016 წლის საკასო ხარჯი 53,9 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 77,3 პროცენტია (გეგმა 69,7 ათასი ლარი). აღნიშნული მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი 5,8 ათასი ლარით მეტია საკასო ხარჯზე, რაც გასულ წლებში შეძენილი საქონლის ექსპლუატაციაში გაშვებით არის გამოწვეული;

➤ წარმომადგენლობითი ხარჯების 2016 წლის საკასო ხარჯი 12,4 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 83,8 პროცენტია (გეგმა 35,1 ათასი ლარი);

➤ რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლის 2016 წლის საკასო ხარჯი 7,1 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 95,9 პროცენტია (გეგმა 7,4 ათასი ლარი). აღნიშნული მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი 5,0 ათასი ლარით ნაკლებია საკასო ხარჯზე, რაც საანგარიშო წლის ბოლოს შეძენილი და გაუცემელი უნიფორმის ღირებულებითაა გამოწვეული;

➤ ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლის 2016 წლის საკასო ხარჯი 59,7 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 76,3 პროცენტია (გეგმა 78,2 ათასი ლარი). აღნიშნული მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი 8,3 ათასი ლარით მეტია საკასო ხარჯზე, რაც გასულ წლებში შეძენილი საწვავის ტალონების გამოყენებითაა გამოწვეული;

➤ სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების მუხლის 2016 წლის საკასო ხარჯი 22,8 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 97,9 პროცენტია (გეგმა 23,3 ათასი ლარი);

➤ სოციალური უზრუნველყოფის მუხლის 2016 წლის საკასო ხარჯი 6,4 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 100 პროცენტია;

➤ სხვა ხარჯების მუხლის 2016 წლის საკასო ხარჯი 2723,4 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 99,4 პროცენტია (გეგმა 2739,5 ათასი ლარი). აღნიშნული მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი 0,5 ათასი ლარით მეტია საკასო ხარჯზე, რაც გასულ წლებში შეძენილი საქონლის გამოყენებით არის გამოწვეული;

საანგარიშო პერიოდში არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო ხარჯი 77,7 ათას ლარს შეადგენს, რაც 2016 წლის საბიუჯეტო გეგმის 95,8 პროცენტს შეადგენს, ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 3,4 ათასი ლარი;

ვალდებულებების კლების გეგმური მაჩვენებელი შესრულებულია 100 პროცენტით. ამ მუხლით, 2016 წლის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული და გახარჯულია 5,9 ათასი ლარი.

•**დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ერიცხებოდა 18,4 ათასი ლარის დებიტორული და 5,9 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. საანგარიშო პერიოდში დებიტორული დავალიანება არ შეცვლილა, ხოლო კრედიტორული დავალიანება დაიფარა სრულად. დებიტორული

დავალიანებიდან 18,0 ათასი ლარი შპს „არმა კაპიტალზე“ 2012 წელს ავანსად გაცემული თანხაა, რომლის ამოღებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს აღსულების საქმისწარმოება, თუმცა კომპანიის ლიკვიდაციის გამო თანხის ამოღება ვერ ხერხდება.

გოჩა შარაბიძე /წამყვანი აუდიტორი/



მინდია ჯორთმენაძე /აუდიტორი/



გურანდა გვაზავა /აუდიტორი/



რამაზ დიასამიძე /აუდიტორ - ასისტენტი/



26. 06. 2017 წელი

